# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (10.058)

4—11 თებერვალი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „ნებისმიერი წარმატების საწინდარი არის ხალხი“...

*2 თებერვალს თელავში, სასტუმრო „ესკიზში“, მედიაცენტრის „კახეთის ხმა“ ორგანიზებით სამეწარმეო ფორუმი „მეწარმეობის განვითარება რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის“ გაიმართა. ფორუმს კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მეწარმეები ესწრებოდნენ. გაიმართა ადგილობრივი მეწარმე ქალბატონების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს - კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა და მედიაცენტრი კახეთის ხელმძღვანელმა, მაია მამულაშვილმა.*



„მეწარმეების გამოფენები მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების კუთხით, ის ხელს უწყობს ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას. 2022 წელს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ჩატარდა „ღვინის დღეები“ კახეთში, მწვანე მუნიციპალიტეტში ასევე დაიბადა იდეა, რომ გამოყოფილიყო სივრცე მეწარმეებისთვის, სადაც მუდმივად მოხდება ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. ამის შედეგად აქ მოსულ ტურისტს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს სამამულო პროდუქციას და შეიძინოს ჩვენი მეწარმეების მიერ დამზადებული როგორც საკვები, ასევე ხალხური რეწვის ნიმუშები. მე გიდასტურებთ მზაობას, ვითანამშრომლო ადგილობრივ მეწარმეებთან და დავეხმარო მათ, რათა სახელმწიფო პროგრამები მათ საჭიროებებთან მუდმივ თანხვედრაში იყოს“-აღნიშნა კახეთის გუბერნატორმა გიორგი ალადაშვილმა.

„მოგესალმებით ყველას, ძალიან მიხარია, რომ კვლავ დავბრუნდი კახეთში, რეგიონში, რომელსაც აქვს ძალიან დიდი პოტენციალი მეწარმეობის კუთხით და ეკონომიკური განვითარებისთვის. კახეთი არის საუკეთესო ადგილი, სადაც შეგიძლია გამოსცადო ქართული სტუმართმოყვარეობა და ეზიარო მდიდარ კულტურას. დღევანდელი შეკრება არის ამის ძალიან კარგი მაგალითი. ნებისმიერი წარმატების საწინდარი არის ხალხი, ვინც უშუალოდ ახორციელებს ამ საქმიანობას. და შესაბამისად, მათი მხარდაჭერა , მათი იდეების მხარდაჭერა არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ საკითხში. ამიტომ, ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ გვაქვს შესაძლებლობა, მხარი დავუჭიროთ ამ კუთხით ადამიანებს სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, რომელთა მიზანიც გახლავთ სამუშაო ადგილების შექმნა, პატარა, მცირე საწარმოების, ბიზნესების მხარდაჭერა, რაც თავისთავად, მეტად ეფექტურს გახდის საქართველოს ეკონომიკას.ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი ჩვენი მხარდაჭერისა გახლავთ პროგრამები, რომლებიც მიმართულია განათლების კუთხით. მე მქონდა ბედნიერება, სტუმრად ვყოფილიყავი ერთ -ერთ სკოლაში, რომელიც სრულად რეაბილიტირდა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ განვითარებას, არამედ ამ პროგრამით მხარი დაეჭირა ისეთი საქმეების განვითარებას, როგორიც არის მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა სკოლებში. განსაკუთრებით ამ კუთხით ხდებოდა გოგონების წახალისება, რომ მათ ჰქონდეთ სათანადო უნარები, რაც აუცილებელია დღევანდელ სამყაროში. ამ ყველაფრის წამყვანი ძალა ხართ თქვენ, ვინც ახორციელებთ სამუშაოებს აქტიურად, ხართ ჩართულნი ბიზნესში. ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროგრამებსა თუ შესაძლებლობებში მონაწილეობის მიღება, რაც აქვს ამერიკის საელჩოს. მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარება, რომელიც უპასუხებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს კულტურის განვითარებაში, ეროვნული უსაფრთხოების და მედეგობის მიღწევაში. ქალთა გაძლიერება დადებითად აისახება ოჯახების გაძლიერებაზე, თემის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ქალ მეწარმეს“-განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა.





ფორუმზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა მეწარმე ქალების მნიშვნელოვან როლს რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და დოვლათის შექმნაში. გამომსვლელებმა მეწარმე ქალბატონებს მხარდაჭერა აღუთქვეს, რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს.

ინგა შიოლაშვილი

CMYK

# სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო




სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო.

საერთო კრებები ჩატარდა ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში, სადაც მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები შეხვდნენ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოს მოსახლეობამაც უკვე შეარჩია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მომდევნო შეხვედრები 6 თებერვალს ზემო მაჩხაანში, მირზაანსა და არბოშიკში ჩატარდება.



## ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად სოფელ ფიროსმანში, ქვემო ქედში, არხილოსკალოსა და ზემო ქედში დასრულებული სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

გასულ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოეწყო 7 ახალი სპორტული მოედანი და რეაბილიტირდა -10. ახალი სტადიონები აშენდა ზემო მაჩხაანში, ქვემო ქედში, სამრეკლოში, ზემო ქედში და ქ. დედოფლისწყაროში, ხოლო არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია განხორციელდა ქვემო ქედში, ფიროსმანში, სამრეკლოში, გამარჯვებაში, ოზაანში, ხორნაბუჯში, არბოშიკში, მირზაანსა და ქ. დედოფლისწყაროში.

სპორტული ინფრასტრუქტურის, რეკრეაციული და ბავშვთა გასართობი სივრცეების მოწყობა-განახლება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.



## მთავრობა წელს 20 000 სოციალურად დაუცველის დასაქმებას გეგმავს

მთავრობა წელს საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამით 20 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქის დასაქმებას გეგმავს.

ამის შესახებ პრემიერმინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილთან და მის მოადგილეებთან გამართულ სამუშაო თათბირზე აღინიშნა. ჯანდაცვის უწყების ინფორმაციით, გასულ წელს საზოგადოებრივ სამუშაოებში 30 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ჩაერთო.

სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირებისთვის საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა 2022 წლის პირველ მარტს დაიწყო. საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული მოქალაქის ხელფასი 300 ლარია. ამასთან, თუ ბენეფიციარი არაფორმალურ სექტორშია დასაქმებული, საქმიანობის ფორმალიზების შესაძლებლობა ეძლევა და ოჯახს 4 წლის განმავლობაში უნარჩუნდება საარსებო შემწეობა. პრემიერმინისტრის თქმით, 200 000 სოციალურად დაუცველი ადამიანი საჯარო და კერძო სექტორში, მომდევნო 2-3 წელში დასაქმდება.

## ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია მოხდება

სოფლის მეურნეობის სააგენტო ასევე ახორციელებს ქარსაფარი ზოლების (მინდორდაცვითი) ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიზანი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესებისგან მიწის რესურსების დაცვა და მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებაა.სააგენტო ინვენტარიზაციას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის გეგმის მიხედვით. ჯამში ინვენტარიზებულია 1256.34 ჰექტარი ქარსაფარი ზოლი. ამჟამად დასრულებულია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 319.3 ჰა ქარსაფარი ზოლის სტატუსის რეგისტრაცია.

2022 წელს განხორციელდა საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზებულმა ფართობმა შეადგინა 901.26 ჰექტარი. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ბოლოს დასრულდა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 1446 ნაკვეთი საერთო ფართობით - 355 ჰა.

მიმდინარე წელს ინვენტარიზაცია ჩატარდება დედოფლისწყაროს, კასპის, დუშეთისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში. წინასწარი მონაცემებით, სამუშაოების სავარაუდო ფართობი შეადგენს 2448 ჰექტარს. საინვენტარიზაციო სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2024 წელს. შემდეგ ეტაპზე იგეგმება მათი აღდგენა/რეაბილიტაცია და ახალი ქარსაფარი ზოლების გაშენება, რაც ქარსაფარი (მინდორ-დაცვითი) ზოლების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება.

## კახეთში საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეირჩა და გამოქვეყნდა მეშვიდე ეტაპზე იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცემები.

საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება 1 თებერვალს დაიწყო და 10 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გამოქვეყნებულია კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 83 ერთეული საძოვრის მონაცემები. მათ შორის, დედოფლისწყარო - 12, საგარეჯო- 3, თელავი- 3, სიღნაღი - 3, ყვარელი - 5, ახმეტა - 4, ასპინძა - 1, ახალციხე - 1, ნინოწმინდა - 6, დმანისი -16, თეთრიწყარო - 1, წალკა- 2, მცხეთა - 1, ყაზბეგი -1, გორი-3, კასპი - 1, ქარელი -2, წყალტუბო - 13, ბაღდათი - 1, სენაკი -2, ონი - 2.

„2022 წლის 28 მარტიდან, სააგენტომ შეარჩია და ექვს ეტაპად გამოაქვეყნა აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების მონაცემები. ჯამში, ინტერესი გამოიხატა 212 კოდზე და მასთან დაკავშირებული მონაცემები გადაიგზავნა ქონების ეროვნულ სააგენტოში. პირდაპირი წესით გადაცემას დაექვემდებარა 119 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 12 650 ჰა; ხოლო აუქციონის წესით გადაცემას - 93 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 14 495 ჰა. ქონების ეროვნულ სააგენტოში ჩატარებულია აუქციონები 86 მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით 133 271 ჰა. იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 46 (6183 ჰა.) მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი გრძელდება. დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (www.land.gov.ge www.mepa.gov.ge), ასევე სააგენტოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე", - ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

ინფორმაციისთვის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის" სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 6 ოქტომბერს დაამტკიცა. პროგრამა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელ ფერმერებს საშუალებას აძლევს, სასურველი საძოვარი აუქციონის გზით მიიღონ და სამწლიანი იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განკარგონ. პროგრამა, საძოვრებზე ლეგიტიმური კერძო პასუხისმგებლობის გაჩენით, ხელს შეუწყობს მათ რაციონალურ გამოყენებას, დაიცავს დეგრადაციისგან და, ამავდროულად, მეცხოველეობის დარგის განვითარებას დაეხმარება.

## შეხვედრა ფერმერებთან

ოთარ შამუგია სოფლის მეურნეობის დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები სოფლის მეურნეობის დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.შეხვედრაზე მხარეებმა გასული წლის საქმიანობა შეაჯამეს, მიმდინარე წლის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს.

***„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, კომუნიკაცია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. მზად ვართ, მოვისმინოთ თითოეულ სექტორში არსებული გამოწვევა და, ასოციაციებთან ერთად, დავგეგმოთ მათი გადაჭრის ისეთი გზები, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგის სწრაფ და ეფექტიან განვითარებას"***, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღწეულ შედეგებს. ასოციაციის წარმომადგენლებმა მარცვლეული კულტურების, რძის, მესაქონლეობის, დაფნის, კაკლოვანი კულტურების, პურის, ზეთისხილის, თაფლის, თევზისა და კვერცხის წარმოების, მეცხვარეობისა და მეფუტკრეობის განვითარების შედეგებზე და არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე ისაუბრეს.მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებით ზრდის მუდმივად მზარდი ტენდენცია ფიქსირდება.

საუბარი შეეხო მესაქონლეობისა და აკვაკულტურის სექტორის პოტენციალს და განვითარების მნიშვნელობის საკითხებს.შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დარგის საჭიროებების და ინიციატივების განხილვის მიზნით, სამინისტრო ყოველთვის მზად არის ასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდეს. კერძო სექტორის ჩართულობით ახალი წინადადებების, მხარდამჭერი ღონისძიებების და საკანონმდებლო რეგულაციების განხილვა სამინისტროში დანერგილი წარმატებული მიდგომაა.



# „პედაგოგობა საპატიო მისიაა“

***ამ დღეებში №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს-ქ-ნ ჯულიეტა (ქევსერი) პოპიაშვილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ ჯილდო გადაეცა.***

მიუხედავად იმისა, რომ ქევსერი მასწავლებელს ჩემთვის არასდროს უსწავლებია, იმ დროიდან ვიცნობ, სკოლაში პიონერხელმძღვანელად რომ შემოვიდა. სხვა პედაგოგების გაცდენილი გაკვეთილებიც ჩაუტარებია ჩვენთვის. ჩვენს თვალწინ გაიზარდა მისი ვაჟი ლექსო, რომელიც ხშირად გვსტუმრობდა სკოლაში და თავისი ასაკისთვის უჩვეულო ნიჭს ავლენდა ყოველთვის. ქევსერი მასწავლებელი ჩემი და ჩემი შვილების საყვარელი მასწავლებელია, ცოტა სუბიექტურიც ვიქნები მასზე საუბრის დროს. ქევსერი მასწავლებელმა, რომლის ბიოგრაფიასა და პედაგოგიურ ღვაწლზე მხოლოდ საუკეთესო ითქმის, 45 წელი პირველ საჯარო სკოლაში მოსწავლეების აღზრდას შეალია. შეუძლებელია, როგორც მშობელს, „თავი ქუდში“ არ გქონდეს, როდესაც ის შენს შვილს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. თუკი მოსწავლე მას საგაკვეთილო პროცესში კარგად მიჰყვება, ე.ი. გრამატიკაც იცის, სამშობლოს სიყვარულიც და კლასგარეშე მეცადინეობა მართლა ზედმეტი და დამატებითია მისი მოსწავლეებისთვის.

დღეს მკითხველს ქევსერი მაწავლებელთან ინტერვიუს ვთავაზობთ:

**მინი დოსიე:** დავიბადე 1952 წლის 7 მაისს. 1969 წელს დავამთავრე წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა. შემდეგ დავამთავრე ქ.თელავის ი. გოგებაშვილის სახ. ინსტიტუტი და დავბრუნდი მშობლიურ სკოლაში ჯერ პიონერხელმძღვანელად, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სკოლაში მაქვს გატარებული, საყვარელი საქმის სამსახურში.

**რა მთავარი თვისებებია საჭირო მასწავლებლისთვის, რომ მოსწავლემ თავი საგაკვეთილო პროცესში კომფორტულად, დაცულად იგრძნოს და სასურველი ცოდნა მიიღოს?**

- ჩემი აზრით, უპირველესად, მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვები და თავისი საქმე, უნდა იყოს სულ ახლის ძიებაში, ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, მოსწავლეებიც კომფორტულად იგრძნობენ თავს და სასურველ ცოდნასაც მიიღებენ.

**თქვენ, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე მოგიწიათ მომავალ თაობებთან მოღვაწეობა. რომელ ეტაპებს გამოარჩევდით და რატომ?**

- 45 წელია მოსწავლეებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. ამ წლების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ სხვადასხვა ისტორიული საფეხური გაიარა და მეც ყოველთვის ვცდილობდი ფეხი ამეწყო ქვეყანაში არსებული ცვლილებებისთვის. განსაკუთრებით მახსენდება უშუქობის და უხელფასობის წლები, თუმცა, მასწავლებლებს არც მაშინ გვიღალატია ჩვენი საქმისთვის და მაინც პირნათლად ვასრულებდით მოვალეობას. ყველაფერს ბავშვებისა და ჩემი საქმის სიყვარული მაკეთებინებდა. წლების განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა და მუშაობაც საინტერესო და სახალისო გახდა. საშუალება მოგვეცა, უფრო შემოქმედებითად მივდგომოდით ჩვენს საქმიანობას მეც და ჩემი მოსწავლეებიც.





**არსებობს ასეთი მეცნიერული დასკვნა: როგორ თაობებსაც აღვზრდით, ისეთ ქვეყანას მივიღებთ უახლოეს 10-15 წლიწადშიო. ეთანხმებით თუ განსხვავებულად ფიქრობთ?**

- დიახ, ვეთანხმები მოსაზრებას, როგორ თაობებსაც აღვზრდით, ისეთ ქვეყანას მივიღებთ უახლოეს მომავალში, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ვალია, ფეხი ავუწყოთ ცვლილებებს, სიახლეებს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მივცეთ. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი მათი ინტერესების სფერო უნდა იყოს.

**მე, როგორც მშობელს, მყავს სხვადასხვა თაობის შვილები, რომელთაც განსხვავებული მიდგომა და ხედვები აქვთ სამშობლოს სიყვარულისადმი, ამიტომ მიმაჩნია, რომ სასწავლო პროგრამა გადასახედია პატრიოტული თემების კუთხით, მხოლოდ მშობლების და პედაგოგების ზეპირი მუშაობა არასაკმარისია, თუ ვცდები, მითხარით...**

- გეთანხმებით, გარკვეულწილად შეიცვალა, მოსწავლეებს განსხვავებული მიდგომა და ხედვა აქვთ სამშობლოს სიყვარულის მიმართ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ყველაფერი დრომ მოიტანა. არ მგონია, რომ ჩემს მოსწავლეებს ვინმეზე ნაკლებად უყვარდეთ სამშობლო. ყოველთვის ვცდილობ ამ თემას დავუკავშირო შესასწავლი მასალა და რაც შეიძლება მეტი მოვუთხრო ჩვენი ქვეყნის გმირულ, ისტორიულ წარსულზე. თუმცა, გეთანხმებით, კარგი იქნება, თუ სასწავლო პროგრამაში უფრო მეტი პატრიოტული თემა იქნება შეტანილი.

**თითქმის ხუთი ათეული წელია ჩვენს სკოლას ღირსეულად და თავდაუზოგავად ემსახურებით. ამ გადასახედიდან, რა არის თქვენი მთავარი სათქმელი?**

- ჩემს ორმოცდახუთწლიანი მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პედაგოგობა, მოზარდი თაობის აღზრდა და ჩამოყალიბება საპატიო მისიაა და ყველამ ღირსეულად უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

**დასასრულს, რედაქციის სახელით გვინდა მოგილოცოთ „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ ჯილდო. გისურვოთ ჯანმრთელობა და კიდევ არაერთი თაობის აღზრდა.**

**ესაუბრა**
**ელზა ხარაშვილი**

# ახალი სათამაშოები საბავშვო ბაღებში

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები ახალი სათამაშოებით შეივსო. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან აცნობეს. ბაღებში განაწილდა სენსორულ-მოტორული განვითარებისა და თვალისა და ხელის კოორდინაციის დახვეწისთვის საჭირო ნაკრები. სათამაშოები სერთიფიცირებულია და თან ახლავს უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

სოფლებში საბავშვო ბაღების გამგეები გაზეთ „შირაქს“ უყვებიან, რომ ბოლო ხანს მათი სამუშაო პირობები ისე გაუმჯობესდა, შედარებაც შეუძლებელია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღები კახეთის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რომ არის, ამას კახეთის გუბერნიაშიც ხშირად აღნიშნავენ და ეს ეხება როგორც კვების ხარისხს, ისე უსაფრთხოების ნორმების დაცვას და შენობების კეთილმოწყობას. დარღვევებს ვერ პოულობს სურსათის სააგენტოც.

ზემო მაჩხაანი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი სოფელია. „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის სათამაშოების მარაგის შევსება და რა პირობებია სკოლამდელი ბავშვებისთვის სოფელში.

**ლილი ჯანაშვილი: (ზემო მაჩხაანის საბავშვო ბაღის გამგე):** „ზოგჯერ ჩვენ წარვადგენთ ხოლმე მოთხოვნას სათამაშოების შეძენის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევებში კი თავად სააღმზრდელო ცენტრი გვამარაგებს. ამ შემთხვევაშიც, გასული წლის ბოლოს მივიღეთ ახალი სათამაშოები, რომლებიც ყველა ასაკის აღსაზრდელისთვისაა განკუთვნილი და პროცესში დაგვეხმარება. საკმაოდ ხშირად ხდება ჩვენთან ახალი სათამაშოებისა და სხვა ინვენტარის შეძენა. საკანცელარიო, სამეურნეო საქონელი თუ ავეჯი. ყველაფერი გვაქვს. 36-ე წელია ამ ბაღის გამგე ვარ და დიდი ხანია რაიონის ხელისუფლების მხრიდან ასეთი ხელშეწყობა აღარ ყოფილა. შედარებაც არ შეიძლება იმდენად კარგი პირობები გვაქვს დღეს. მთელს ქვეყანაში საბავშვო ბაღები განვითარდა, მაგრამ განსაკუთრებით დედოფლისწყაროში „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ყურადღება დაუთმო სკოლამდელი ბავშვების აღზრდას. თუკი რამეს ვისურვებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გვაქვს. ბოლო წლებში გარემონტდა შენობაც, ცუდი პირობები გვქონდა და ახლა ევროსტანდარტებითაა ყველაფერი მოწყობილი. ამჟამად 64 აღსაზრდელია ჩვენს ბაღში და სამი ჯგუფი მოქმედებს. თითქმის ყოველთვიურად გვამოწმებს სურსათის ეროვნული სააგენტო, მოწმდება პროდუქტის ხარისხი, ვადები და შენახვის პირობები. საკვების მომზადების უსაფრთხოება და მრავალი სხვა. მათი მხრიდან შენიშვნა და პრობლემა ჯერ არ ყოფილა დაფიქსირებული, რეკომენდაციებს ყოველთვის ვითვალისწინებთ და ხარისხს ვინარჩუნებთ. ბოლო წლებში ბავშვთა რაოდენობა მცირედით, მაგრამ მაინც მზარდია, რაც იმედს გვაძლევს. ჩვენ ვცდილობთ ყველა პირობა იყოს შექმნილი მათი კარგი აღზრდისათვის. იყო პერიოდი, როცა საერთოდ არ შემოდიოდა ახალი სათამაშოები, არც ასეთი მკაცრი მოთხოვნები იყო. მაგრამ დეფიციტი არ შეგვქმნია, ძველი სათამაშოებიც მუდმივად გვქონდა, ზოგჯერ ცოტას შეგვიძენდნენ ხოლმე, ხან ბავშვებსაც მოჰქონდათ თავისი სათამაშოები. წლები გადის, ყველაფერი იცვლება, თანამედროვეობას სხვა მოთხოვნები აქვს და ჩვენც ვცდილობთ ამ ტემპს ფეხი ავუწყოთ. ახლა ჩვენს საბავშვო ბაღში ის თაობა დადის, რომელთა მშობლებიც ჩვენი გამოზრდილია, ისინიც როცა ადარებენ ძველ პირობებს და დღევანდელ ხელშეწყობას, მშობლებიც ხშირად მადლობას გვეუბნებიან. მართლა აღფრთოვანებულები არიან, რომ მათ შვილებს არაფერი აკლიათ. მრავალფეროვანი კვება, საუკეთესო გარემო და ხელშეწყობა. ღონისძიებებზეც გვესწრებიან როგორც ოჯახები, ისე ცენტრის წარმომადგენლები და ძირითადად ყველა კმაყოფილია. ჩვენც ვცდილობთ ყველას მიმართ სათანადო სითბო და ყურადღება გამოვიჩინოთ.“



იგივე პათოსია ოზაანის საბავშვო ბაღშიც. ახლადმიღებული სათამაშოები გათვალისწინებულია როგორც ბაგის, ისე უფროსი ჯგუფების ბავშვებისთვის.

**ლია სუხიტაშვილი (ოზაანის საბავშვო ბაღის გამგე):** „რა თქმა უნდა სათამაშოები ბავშვების განვითარებისთვის აუცილებელია და სხვადასხვა ეტაპზე ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დეკემბრის თვეში ჩვენმა ბაღმაც მიიღო ახალი სათამაშოების მორიგი პარტია. ძალიან კარგი სათამაშოებია. 100-ზე მეტი დეტალია სულ: კონსტრუქციები, მოზაიკა, მუსიკალური განვითარებისთვის ხის მუსიკალური საკრავების ნაკრები. გათვალისწინებულია როგორც ბაგის ჯგუფის ბავშვების მუსიკალური ტელეფონები, ისე უფროსი ასაკისთვის სხვადასხვა აქტივობისთვის საჭირო სათამაშოები“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# „საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება სერიოზული პრობლემაა“

***მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მსოფლიოში 10-დან 9 ადამიანი დაბინძურებული ჰაერით სუნთქავს, რაც წელიწადში 7 მილიონი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ხდება. ჰაერის დაბინძურების ეფექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე სერიოზულად მოქმედებს - ინსულტით, ფილტვის კიბოთი და გულის დაავადებებით გარდაცვალების მესამედი ჰაერის დაბინძურებით არის განპირობებული. ეს არის თამბაქოს მოწევის ეკვივალენტური ეფექტი და ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე, ვთქვათ, მარილის ჭარბი მოხმარების ეფექტით გამოწვეული შედეგები.***

ჰაერის დაბინძურებისგან თავის დაღწევა რთულია, რაც არ უნდა გამწვანებულ ტერიტორიაზე იცხოვრო. ჰაერის მიკროსკოპულმა დამაბინძურებლებმა შეიძლება გაიაროს ჩვენი სხეულის დაცვა, ღრმად შეაღწიოს ჩვენს სასუნთქ და სისხლის მიმოქცევის სისტემაში და დააზიანოს ჩვენი ფილტვები, გული და ტვინი.

ჰაერის დაბინძურება მჭიდროდაა დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან. გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტის, ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეები - დედამიწის მეგობრები“-ს თავმჯდომარის, ნინო ჩხობაძის განცხადებით, საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება სერიოზული პრობლემაა.

როგორც მან განაცხადა, ამის ძირითადი მიზეზია დიდ ქალაქებში შექმნილი საცობია, არარსებული სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა და ა.შ.:

„უნდა ვიცოდეთ და არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ ჰაერის ყველაზე დიდი დამაბინძურებელი წყარო არის ტრანსპორტი. ვერავინ მეტყვის, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა საუკეთესოა, რადგან ჩვენ დღეს ქალაქში ძალიან დიდი საცობი გვაქვს. საცობი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზი იმისა, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება საკმაოდ სერიოზულია. იმისთვის, რომ უკეთესი გახდეს ქალაქის და ურბანული დასახლებების ატმოსფერული ჰაერი, მნიშვნელოვანია შემუშავდეს სატრანსპორტო პოლიტიკა, გამკაცრდეს საწვავთან დაკავშირებული საკითხები. ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სამშენებლო ბიზნესიც. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ შეფუთულ შენობებს, როცა მშენებლობა მიმდინარეობს ამა თუ იმ ადგილას და ჰაერი ისევ ბინძურდება“,- განაცხადა ჩხობაძემ.

მისივე თქმით, სამწუხაროდ, მაღალსართულიანი შენობების გამო რეალურად არ ხდება ჰაერის განიავება, რაც ჰაერის დაბინძურების კუთხით კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა.

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით ჩვენთან ყველაზე სერიოზული პრობლემა არის ტრანსპორტი. ის, რომ სატრანსპორტო მაგისტრალები მოწესრიგებული არ არის. ის, რომ ჯერ არ განხორციელებულა სატრანსპორტო პოლიტიკა. კარგია, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ამოქმედდა, მაგრამ პრობლემა დიდია. გზის გამტარობა არის პრობლემა, რაც ნიშნავს იმას, რომ მანქანა არ უნდა ჩერდებოდეს. საცობი ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია“, -განაცხადა ჩხობაძემ.




## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ბოლო პერიოდში დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ატმოსფერულ ჰაერში ფიქსირდებოდა მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) მატება, რაც ძირითადად, ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას უკავშირდებოდა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უდაბნოს მტვრის მასების გავრცელებით იყო განპირობებული.

ამ ეტაპზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურების პროცესი დასრულდა, თუმცა მეტეოპირობების გამო კვლავ რჩება ატმოსფერულ ჰაერში ზოგიერთი დამაბინძურებლის მაღალი კონცენტრაცია. პროცესი დასრულდება ეტაპობრივად.

აღსანიშნავია, რომ ტრანსსასაზღვრო დაბინძურება წლის განმავლობაში გარკვეულ დღეებში ფიქსირდება ანალოგიური სინოპტიკური სიტუაციის დროს და მეტეოროლოგიური მოვლენაა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და მიიღოს ჯანდაცვითი რეკომენდაციები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე.

**როგორ დავიცვათ ჰაერი დაბინძურებისგან ?**




ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე განთავსებულია კიდევ ერთი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დავიცვათ ჰაერი დაბინძურებისგან. თუ თითოეული ჩვენგანი, ამ ჩამონათვლიდან რამდენიმე პუნქტის შესრულებას მაინც დაიწყებს, ჰაერს ნაკლებად დავაბინძურებთ.

-შეეცადეთ, რაც შეიძლება ხშირად იაროთ ფეხით ან ველოსიპედით.

-ნუ გამოიყენებთ ავტომობილს მოკლე მანძილზე გადასაადგილებლად.

-იმგზავრეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

-ნუ მოცდებით საცობში დგომით. ელექტროტრანსპორტი, როგორიცაა მეტრო და საბაგირო უზრუნველყოფს თქვენ დროულ და გამონაბოლქვის გარეშე გადაადგილებას.

-იზრუნეთ თქვენი ავტომობილის ტექნიკურ, განსაკუთრებით წვის სისტემის, გამართულობაზე! (სავალდებულო პერიოდული ინსპექტირების ცხელი ხაზი - 1484).

-გამართეთ ავტომობილი:

წვის სისტემა (ძრავი და გამონაბოლქვის კონტროლის სისტემა);

სავალი ნაწილი;

ელექტრომოწყობილობები;

სამუხრუჭე სისტემა;

საჭის მართვის სისტემა;

მინასაწმენდები;

განათება.

-არ ამოიღოთ ე.წ. კატალიზატორი! მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შეცვალეთ ახლით.

-უკეთ მართეთ ავტომობილი - დაიცავით ეკო-მართვის შემდეგი პრინციპები:

მოვერიდოთ ავტომობილის დგომას ჩართული ძრავით;

დროულად გამოვცვალოთ ძრავის ჰაერის ფილტრი;

შევინარჩუნოთ საბურავებში რეკომენდებული ჰაერის წნევა;

არ განვაგრძოთ საწვავის ჩასხმა მას შემდეგ, რაც საწვავის ავზის გავსების შემდეგ ჩასასხმელი მოწყობილობა (პისტოლეტი) ავტომატურად გაითიშება;

შეძლებისდაგვარად გამოვიყენოთ კრუიზკონტროლი, რომელიც თავად არეგულირებს მოძრაობის სიჩქარეს;

ძრავის ბრუნვის დაბალი სიჩქარით მოძრაობა იწვევს საწვავის მოხმარების შემცირებას;

გადაცემათა კოლოფი უნდა გადავრთოთ მაღალ გადაცემაზე, რაც შეიძლება ადრე და დაბალ გადაცემაზე გადავრთოთ, რაც შეიძლება გვიან;

შუქნიშნის წითელი ფერის რეჟიმზე გადასვლის დროს შუქნიშანთან მიახლოებისას ვიმოძრაოთ ინერციის გამოყენებით;

წინასწარ დავგეგმოთ მოძრაობა;

ნუ გავახურებთ ძრავს დაძვრამდე. დავძრათ ავტომობილი და დაძვრის შემდეგ მცირე ხნით ვიმოძრაოთ ძრავის დაბალი ბრუნვათა რიცხვით, სანამ ძრავი არ გათბება;

ნუ ვიმოძრავებთ ზაფხულში ზამთრის საბურავებით;

მინიმუმამდე შევამციროთ კონდიციონერის გამოყენება;

კატალიზატორი შესაძლოა დაზიანდეს თუ ავტომობილის დაქოქვა წარმოებს მისი ბუქსირებით;

გავათავისუფლოთ ავტომობილი ზედმეტი ტვირთისგან;

შევეცადოთ ტვირთი განვათავსოთ ავტომობილის საბარგულში და არა სახურავზე;

-ნუ იმგზავრებთ ავტომობილით მარტო - დაიმგზავრე!

-ავტომობილის შეძენისას არჩევანი გააკეთეთ უფრო სუფთა ტექნოლოგიაზე, როგორიცაა ელექტრომობილი და ჰიბრიდი. ასეთი არჩევანი გარემოს დაბინძურებასთან ერთად საწვავის ხარჯსაც მნიშვნელოვნად ამცირებს

-შეამცირეთ შეშის მოხმარება

-მოხმარებამდე კარგად გააშრეთ შეშა - მიიღე მეტი სითბო ნაკლები შეშით

-შეშა გაცილებით უფრო „ბინძური“ საწვავია, ვიდრე ბუნებრივი აირი.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა საკმაოდ მრავალშრიანია. მნიშვნელოვანია თითოეული გამოწვევის საპასუხოდ დროში შესაბამისად გაწერილი, ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა. ამისთვის საჭიროა, რომ საკითხი მუდმივად იდგას პოლიტიკის დღის წესრიგში. მოსახლეობის აქტიურობის გამო, მაგალითად, რუსთავში, ჰაერის დაბინძურებას იმაზე მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

სუფთა ჰაერი ადამიანის კანონიერი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში...“, რაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სუფთა ჰაერის გარემოში ცხოვრების უფლებას გულისხმობს.

# „ყოველდღიურად ასეულობით საეჭვო ტრანზაქციის შემცველი ანგარიში იხურება“

***„ყოველდღიურად ასეულობით საეჭვო ტრანზაქციის შემცველი ანგარიში იხურება,“ - ამის შესახებ რადიო „პალიტრა“-სა და „პალიტრანიუს“-ის გადაცემაში „საქმე“ საქართველოს საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძნელაძემ განაცხადა.***

ასე გამოეხმაურა ძნელაძე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც რუსეთის მოქალაქეები რუსეთიდან გზავნილებს საქართველოს მოქალაქეების დახმარებით ანაღდებენ. კერძოდ, ფული რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების ანგარიშებზე ირიცხება, რისთვისაც რუსეთის მოქალაქეები ამ პირებს ძირითადად, 50-100 ლარს უხდიან.

„გახსოვთ, ანგარიშების გახსნის პროცესი რომ იყო, უამრავ არარეზიდენტ ადამიანს არ ეხსნებოდა, მაგრამ ბევრი ახერხებდა ანგარიშის გახსნას. დღეის მდგომარეობით კი, ვხედავთ რომ დიდი რაოდენობით ანგარიშები იხურება. თუ თქვენი ტრანზაქციები არასტანდარტული ანგარიშებია და ეჭვის საფუძველს იძლევა, ბანკს აქვს უფლება შეგიჩეროთ გადმორიცხვა და დაგიხუროთ ანგარიში. მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი დღეის მდგომარეობით ძალიან გააქტიურებულია.

რა შემთხვევაც გავრცელდა მედიაში, ეს არის ინდივიდუალური შემთხვევები, მაგრამ ასეთი ფაქტები ხშირი არ არის. იგივე პროცესი იყო გემბლინგთან დაკავშირებით, როდესაც ანგარიშების გაქირავება დაიწყო 25 წელზე მეტი ასაკის ადამიანების მხრიდან, ამ შემთხვევაში იყო მონიტორინგი და ამ საკითხსაც ექცევა ყურადღება.

დღეის მდგომარეობით, არის გარკვეული რისკის შემცველი ტრანზაქციები კონკრეტული ქვეყნებიდან, რომელიც მაღალი მონიტორინგის ქვეშ ხვდება. ტრანზაქციის განხორციელების დროს ბანკი იღებს სრულ პასუხისმგებლობას და თუ საეჭვოდ მიიჩნია საბანკო ოპერაცია, შეუძლია გააჩეროს. ყოველდღიურად საკმაოდ ბევრი - ასეულობით ანგარიში იხურება. თუ თქვენი ანგარიში საეჭვო ტრანზაქციებს შეიცავს, დაგიკავშირდებათ ბანკი და იმ შემთხვევაში თუ ვერ ახსნით აღნიშნული ტრანზაქციის შინაარს, თქვენ მომსახურებაზე შესაძლოა ნებისმიერმა ბანკმა თქვას უარი,“- განაცხადა ძნელაძემ.

**გვერდი მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# სასამართლოს ფაილები



**დილით სკოლაში მიმავალ 16 წლის გოგონას ქ. დედოფლისწყაროში ბაზრის ტერიტორიაზე, „მაგნიტის“ სუპერმარკეტის წინ ავტომანქანა დაეჯახა. რამდენიმე დღიანი მკურნალობის შემდეგ მოზარდი გარდაიცვალა. პოლიციამ ადგილობრივი მძღოლი დააკავა, განაჩენი თელავის სასამართლომ წლისა და ოთხი თვის შემდეგ გამოიტანა, თუმცა დაკავებულის ოჯახმა მოსამართლე მამუკა წიკლაურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ პატიმრის სასჯელი ძალაში დატოვა. დაკავებული საპატიმროში ყოფნის ვადა მიმდინარე წლის სექტემბერში ეწურება.**

კახეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ლევან ბალაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით.

თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ლევან ბალაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის V-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრი დაედო მასზედ, რომ მან ჩაიდინა: ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ის მართავდა აუდის მარკის სატრანსპორტო საშუალებას TAI-006, დაარღვია ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. კერძოდ, 2018 წლის 10 მაისს, დაახლოებით 09:00 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, თბილისის მიმართულებით ჰერეთის ქუჩაზე, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის I ნაწილის დარღვევით, რომლის მიხედვითაც „მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა განსაზღვრული სიჩქარის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება,“ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა და ამ დროს მას გაცნობიერებული ჰქონდა, რა ზემოხსენებული ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც „სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მძღოლმა უნდა გაითვალისწინოს საგზაო პირობები (ადგილის რელიეფი, გზისა და სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, მისი დატვირთვა, ატმოსფერული პირობები, მოძრაობის ინტენსივობა, არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობა და სხვა), რათა საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საფრთხის ან დაბრკოლების წინ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შეამციროს სიჩქარე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გაჩერდეს“ და შეეჯახა გვერდულზე გაჩერებულ ავტომანქანას, რომელშიც იმყოფებოდა მძღოლი, ხოლო შემდეგ შეეჯახა ქვეითს, რომელსაც ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმისა და ტოტალური სისხლჩაქცევის სახით მიაყენა, სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული მძიმე დაზიანებების შედეგად ქვეითი გარდაიცვალა.

თელავის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კახეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა და მსჯავრდებულის ადვოკატმა. სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა მხოლოდ სასჯელის ნაწილში. მსჯავრდებულისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა საქართველოს სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. პროკურორი საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე, სასამართლოს განაჩენით დაკავებულს მიესაჯა ძირითადი სასჯელი და ასევე უნდა ჩამორთმეოდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის (პირობითი მსჯავრის) გამოყენება. ადვოკატი საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ განაჩენი ისედაც მძიმე და არარელევანტურია. სასჯელი არ გამომდინარეობს არც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან, არც მისი დამოკიდებულებიდან ჩადენილი გაუფრთხილებელი ქმედების მიმართ და არც იმ გარემოებიდან, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, არ მიმალულა და არ გაუნადგურებია მტკიცებულებები. პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მიიჩნია რომ მსჯავრდებულის ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განხორციელებულ ქმედებას. მძღოლის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, გარდა მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებისა, დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ:

**ლევან ბალაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ მთლიანად სცნო და განმარტა, რომ 2018 წლის 10 მაისს დილით ავტომანქანით მოძრაობდა ქ. დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე, წრიულის მიმართულებით. ბაზარს როდესაც მიუახლოვდა, დაინახა, რომ მარცხნიდან, ბაზრის მხრიდან, სავალ გზაზე გადმოვიდა ღია ფერის მიკროავტობუსი. მან დაუსიგნალა, რომ გზა არ გადმოეჭრა და დაამუხრუჭა. დამუხრუჭების მიუხედავად, მისმა ავტომანქანამ სვლა გააგრძელა, გაცურდა. ველარ დაიმორჩილა საჭე, გასცდა მიკროავტობუსს და შეეჯახა გზის მარჯვნივ გაჩერებულ ავტომობილს, შემდეგ კი ფეხით მოსიარულე გოგონას. შეჯახების შემდეგ მან თვითონ დარეკა 112-ში და ითხოვა დახმარება.**



დაზარალებული მხარის ჩვენებით დადგენილია, რომ 2018 წლის 10 მაისს დილის საათებში, ქალაქ დედოფლისწყაროში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შვილს შეეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ბალაშვილი. შეჯახების შედეგად მისი შვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. გოგონას მამა ითხოვს, რომ დაისაჯოს დამნაშავე.

მოწმის ჩვენებით დადგენილია, რომ საკუთრებაში მყოფი ავტომანქანით დილის საათებში იმყოფებოდა დედოფლისწყაროს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. მისი ავტომანქანა გაჩერებული იყო ბაზრის მოპირდაპირე მხარეს მაღაზიის კუთხეში და მანქანიდან ყიდდა ცოცხებს. ფეხზე დგომით რომ დაიღალა, ჩაჯდა მანქანის უკანა მარცხენა სავარძელში. დაახლოებით 5 წუთში უკნიდან იგრძნო ძლიერი შეჯახება და დაკარგა გონება. გონზე საავადმყოფოში მოვიდა.

მოწმე ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს დისტრიბუტორად. დილით სამსახურის მიკროავტობუსით, შვილთან ერთად, იმყოფებოდა დედოფლისწყაროში, ბაზრის ტერიტორიაზე მაღაზიებში შეიტანეს პროდუქცია და უნდა გადასულიყვნენ ქუჩის მეორე მხარეს. მისი შვილი წავიდა ფეხით, თვითონ ავტომანქანით დაიწყო მოძრაობა ბაზრიდან მოპირდაპირე მხარეს არსებულ მაღაზიებისკენ. მოძრაობის დაწყებისთანავე დაინახა, რომ მარჯვენა მხრიდან დიდი სიჩქარით მოძრაობდა ავტომანქანა. მან გააჩერა ავტომანქანა. მომავალმა მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. დამუხრუჭების შემდეგ მძღოლმა საჭე ველარ დაიმორჩილა, გაცურდა, მის წინ თავის სავალ ზოლში ჩაიარა და შეეჯახა მაღაზიის წინ გაჩერებულ ავტომანქანას. შეჯახების შემდეგ ის გადმოვიდა მანქანიდან, მივიდა შეჯახების ადგილზე და ნახა, რომ ასევე შეეჯახა გოგონას. გოგონა უგონო მდგომარეობაში იყო და სასწრაფო დახმარების ავტომანქანამ გადაიყვანა.

მოწმე გ.ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ დილის საათებში მამამისთან ერთად მიკროავტობუსით, იმყოფებოდა დედოფლისწყაროში, ბაზრის ტერიტორიაზე . მაღაზიებში შეიტანეს პროდუქცია და უნდა გადასულიყვნენ ქუჩის მეორე მხარეს. თვითონ ფეხით წავიდა მაღაზიებისკენ, ხოლო მამამისმა დაძრა მიკროავტობუსი. ის მამამისის მანქანას ფეხით მიყვებოდა უკან. მან დაინახა, რომ მამამისმა მალევე გააჩერა მანქანა და შემოესმა მუხრუჭის ხმა. დაინახა, რომ გაცურებულმა მანქანამ თავის სამოძრაო ზოლში ჩაუარა წინ და შეეჯახა გზის გვერდულზე მდგომ ავტომანქანას და ფეხით მოსიარულე გოგოს, რომელმაც დაკარგა გონება. უგონო მდგომარეობაში მყოფი გოგონა სასწრაფო დახმარების ავტომანქანამ გადაიყვანა საავადმყოფოში. მანვე აჩვენა, რომ მძღოლი სწრაფად მოძრაობდა თავის სამოძრაო ზოლში და მას წინ არავითარი დაბრკოლება არ ჰქონდა.

გამომძიებელმა დაადასტურა, რომ მან დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და შეადგინა შესაბამისი ოქმი. ოქმის მიხედვით შემთხვევის ადგილი წარმოადგენს საავტომობილო გზას. გზა მოასფალტებული და მშრალია, დეფექტების გარეშეა. გზის სიგანეა 12 მეტრი. გამყოფი ზოლი არ აღინიშნება. შემთხვევის ადგილზე თბილისის მიმართულებით სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს არსებულ მაღაზიის კუთხესა და განათების ბოძს შორის გაჩერებულია თეთრი ავტომანქანა, რომელიც მთლიანად დაზიანებულია. ამავე სავალ ნაწილზე გაჩერებულია ავტომანქანა, რომლის წინა და უკანა მარჯვენა საბურავები გზის კიდიდან ერთი მეტრითაა დაშორებული. დაზიანებული აქვს წინა მარჯვენა ნაწილი და გვერდი. შემთხვევის ადგილზე ნანახი იქნა საბურავის კვალი. მარჯვენა კვალის სიგრძეა 12 მეტრი, რომელიც წყდება 6 მეტრის მანძილზე, ისევ გრძელდება 8 მეტრის სიგრძეზე და მთავრდება ავტომანქანასთან. მარცხენა კვალი არის 14 მეტრის სიგრძის და მთავრდება ავტომანქანასთან. დათვალიერების დროს შედგა სქემანახაზი და ამოღებულია ორივე ავტომანქანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კახეთის სამსახურის ექსპერტისა და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ლევან ბალაშვილის მოქმედება არ შესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 33 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში აღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამორიცხული იქნებოდა. მუხრუჭის კვალის მიხედვით ავტოტექნიკურ ექსპერტს დადგენილი აქვს „აუდის“ სიჩქარე, კერძოდ, შეჯახებამდე „აუდი“ მოძრაობდა მინიმუმ 64 კმ საათით და უფრო მეტი სიჩქარით. ანუ მძღოლს დარღვეული აქვს წესები.

მოცემულ შემთხვევაში სხვა მძღოლების, მძღოლ ბ. ი-სა და ო-ს მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის უგულვებელყოფა არ აღინიშნება. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გარდა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებისა, დასტურდება მხარებს შორის შეთანხმებული შემდეგი მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმის ოთარ პოპიაშვილის გამოკითხვის ოქმით, ქიმიური-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გვამის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებულებებით და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციით.

აღნიშნული მტკიცებულებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, მსჯავრდებულის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის (პირობითი მსჯავრის) გამოყენების თაობაზე, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს, სრულად გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მსჯავრდებულის პიროვნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რომ იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, და ისე განუსაზღვრა მას სასჯელი, რასაც პალატაც ეთანხმება და თვლის, რომ ბალაშვილისათვის 4 წლიანი სასჯელი სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას. ასევე პალატა განმარტავს, რომ სასამართლომ სასჯელის სამართლიანობა უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი, თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა, შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით დანიშნული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. ამასთან, პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სააპელაციო საჩივარში არ ყოფილა მითითებული რაიმე ახალ გარემოებებზე, რომელიც შეიძლება გამხდარიყო განსაზღვრული სასჯელის შეცვლის საფუძველი. რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, მსჯავრდებულისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე, სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, პალატას მიაჩნია რომ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლებას აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით 3 წლამდე. სასამართლოს განაჩენით ბალაშვილს განესაზღვრა ძირითადი სასჯელი, ამასთან უნდა ჩამორთმეოდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, შესაბამისად, სასჯელთან, თავისუფლების აღკვეთასთან ერთად უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 2 წლის ვადით. აღნიშნულიდან გამომდინარე ,პალატა თვლის, რომ ცვლილება შევიდეს თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განაჩენში ლევან ბალაშვილის მიმართ. პალატამ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყოს ფაქტიური დაკავების მომენტიდან - 2019 წლის 27 სექტემბრიდან.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# მთის ხალხის ჩამოსახლება ვაჟა-ფშაველას თაოსნობით

***ვახუშტი ბატონიშვილი, მართალია თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ შირაქის სოფლებს არ იხსენებს, მაგრამ, როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები და არსებული მატერიალურ-კულტურული ძეგლები გვიჩვენებენ, შირაქი ადრე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და არსებობდა ძველი ცივილიზაცია. ამას მოწმობს მიწის წიაღში თუ მის ზედაპირზე ნაპოვნი ნივთები – ქვის ხანის კაჟის საფხეკები, ობსიდიანის (ვულკანური მინა) დანები, ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილები. ეს ბრინჯაოს და სხვა ნივთიერი საბუთები ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულს ეკუთვნის.***

საუკუნეების მანძილზე უცხოელ დამპყრობთა სისტემატური თარეშის გამო აქ ცხოვრება შეწყვეტილა, მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აუყრიათ და გადაუსახლებიათ, ნაწილი კი იძულებული გამხდარა, მიეტოვებინა მშობლიური მხარე და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეპოვა თავშესაფარი. ამან გამოიწვია ამ მხარის დაცარიელება და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შირაქის ნაყოფიერი ველი გაუკაცრიელდა. მე-16 საუკუნიდან კახეთის ბარში ინტენსიურად დაიწყო თუშთა მიგრაცია, კახთა მეფემ ლევანმა (1520-1570 წწ) ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაუხსნა გზა თუშებს შირაქის ველისკენ. ეს ფაქტი ვახუშტი ბატონიშვილს „საქართველოს ცხოვრებაში“ ასე აქვს გადმოცემული:



„და ამან, ლევან, დაიპყრა არა ძალითა თუშნი, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთის და მისცა შეწირულობა ლაშქარს ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდნენ „ლაშქარსა და ბეგარასა“.

აქედან გამომდინარე, კახეთის მეფე ლევანი, მტრის შემოსევის დროს თუშ მეომრებს იშველიებდა. მან აღთქმა მისცა თუშებს შირაქის მიწაზე მათი ცხვრების გამოკვებისა. ამიტომ, თუში მეომრები ყოველთვის მოვალე იყვნენ დახმარებოდნენ კახელებს ბრძოლაში. თუშების ცხვრის ზამთრის საძოვართა, კერძოდ, შირაქის ველის და ალაზნის დაბლობის ბატონ-პატრონი მეფე იყო. თუშთა ცხვარი მეფის ხაზინას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა.

1757 წელს მეფე ერეკლეს თუშებისთვის უბოძებია სიგელ-გუჯარი, რომლის მიხედვით თუშების მფლობელობაში გადადიოდა შირაქის ზამთრის საძოვრები, სამაგიეროდ, მეფის ხაზინაში შეჰქონდათ „საბალახე“ და „საფოთლე“ გადასახადი, რადგან მინდორი არ იხვნებოდა და მხოლოდ საძოვრად იყო გათვალისწინებული. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დედოფლისწყაროში მუდმივად იდგა მეფის რუსეთის ჯარის ნაწილი. სამხედრო სამსახურის გასვლის შემდეგ ოფიცერთა და ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქვე რჩებოდა. მეფის მთავრობა მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდა, რათა სამუდამოდ დამკვიდრებულიყვნენ აქ. მეფის მთავრობამ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ხელში ჩაიგდო უზარმაზარი მიწები ქიზიყში და ალაზნის პირას. მათ თავხედურად მიითვისეს ქართველთა მიწები და „საუდელოდ“ გამოაცხადეს (საუდელო მიწა-„საუფლისწულო მიწას ნიშნავს).

გარდა ამისა, ცარისტული ხელისუფლება რუსეთიდან და თურქეთიდან იწვევდა ხალხს და თითქმის მუქთად აძლევდა საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებს. თითოეულ კომლს ერგებოდა 14 დესეტინა მიწა (დესეტინა-მიწის ზომის ერთეული ძველ რუსეთში მეტრული სისტემის შემოღებამდე და უდრის 1,09 მეათიათასეულ ჰა-ს). ამ გადაწყვეტილებამ მთიელთა გულისწყრომა გამოიწვია და მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს ჩამოსახლება. პირველი დასახლების პროცესი სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მეფის თვითმპყრობელობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მთის მოსახლეობას ახალი მიწების მიღების საქმეში. გადმოსახლებულმა მთიელებმა საჩივარი შეიტანეს მთავრობაში და თავიანთი ინტერესების დამცველად ვაჟა-ფშაველა წარადგინეს. ვაჟამ დახმარებისათვის ნიკო ჯანდიერს მიმართა - ცნობილ საზოგადო მოღვაწეს. ნიკო ჯანდიერმა შექმნა შირაქის მეცხვარე-მესაქონლეთა საზოგადოება „მწყემსი“, რომელსაც შეღავათიან სესხს აძლევდა საკრედიტო ბანკი.

ნიკო ჯანდიერმა და ვაჟა-ფშაველამ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში მიაგნეს კერძო საკუთრების დამადასტურებელ სიგელ-გუჯრებს, რომელიც მეფე ერეკლეს მიერ იყო გაცემული კახეთის თავადაზნაურების და თუშ-ფშავ-ხევსურებისთვის სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის. მათ სასამართლოში უჩივლეს „საუდელო სამმართველოს“ და პროცესი მოიგეს. ცხრაასიან წლებში თუ სტიქიურად ხდებოდა შირაქში ჩამოსახლება, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში უკვე ორგანიზებული ხასიათი მიიღო. წინასწარ ადგენდნენ კომლთა სიებს და ირჩევდნენ ხელმძღვანელს, რომელიც ამ საქმეს გაუძღვებოდა.როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველა დიდად იყო დაინტერესებული მთიელთა ჩამოსახლებით ქიზიყში.

თავის წერილში „ქართველთა ახალშენი შირაქში“ იგი სწერდა: „მთაში სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ ხალხს მასპინძლად გულუხვი ბუნება და ნაყოფიერი დედამიწა დაუხვდათ შირაქში. მოახალშენეთ დასახლების ნებართვა არავისთვის არ უთხოვიათ იმ იმედით, რომ მთავრობა საქონლის ძოვებას არ გვიშლის და დასახლებას, ხვნა-თესვას რადლად დაგვიშლისო. სალს კლდეზე რა პური მოვა ყველამ იცის და მთიულსაც შიმშილით კუჭი უხმება. რომ ველარ გაუძლო შიმშილს, აიყარა და შირაქის ველ-მინდვრებს მოაწყდა, თვალის დახამხამებაში გაჩნდა უშველებელი სოფლები 700-800 კომლით.“

1905 წელს იგი ქართველ მეცხვარეებს შირაქში ჩამოჰყოლია და ყამირი მიწა რომ დაუნახავს, უთქვამს: „ხალხო მადანს მიგადექით“. მიწა დაუთხრია, ხელისგულზე დაუფშვნია და აღარც დაუსვენია, სანამ პირველი გუთნის კვალი თვითონ არ გაუვლია. **მაგრამ შირაქში დასახლება არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, როგორც ფშავლებს და მთიულებს ჰქონდათ წარმოდგენილი. თუშები წინ აღუდგნენ მათ ჩამოსახლებას. მიზეზად საძოვრების ფართობის შემცირებას ასახელებდნენ. იზრდებოდა უკმაყოფილება თუშებსა და ფშავლებს შორის.**

1907 წელს მიწათმოწყობის საქმეზე თუშებმა თავის რწმუნებულად ცისკარიშვილი, ფშავლებმა კი ვაჟა-ფშაველა აირჩიეს (ცნობისათვის, ცისკარიშვილი ვაჟას პეტერბურგის სტუდენტობის წლების კარგი მეგობარი იყო). ვაჟა-ფშაველას მთელი ამ ხნის მანძილზე გვერდით ედგა გრიგოლ ვარდაშევი, რომელიც აქტიური მონაწილე იყო მთის ხალხის შირაქში დასახლების. მუზეუმში დაცულია გრიგოლ ვარდაშევის მოგონება, რომელიც 1987 წელს ჩაიწერა ჩვენმა თანამემამულემ – ისტორიკოსმა იოსებ მენთეშაშვილმა.



გრიგოლ ვარდაშევი დაიბადა ძაუჯიკაუში (ვლადიკავკაზი). დაამთავრა სასულიერო სემინარია (მიიღო სწავლული მღვდლის წოდება), მაგრამ მამამისმა მისი მღვდლად კურთხევა არ მოისურვა, აუშენა მაღაზია და სავაჭრო საქმიანობაში ჩააბა. გრიგოლს ეთაკილებოდა ეს საქმე, რა ქართველის ხელობაა ვაჭრობაო. იმ წლებში ვლადიკავკაზში ფუნქციონირებდა სპირტის ქარხანა, რომლის მფლობელი იყო დავით სარაჯიშვილი. დავითმა სთხოვა გრიგოლს ემუშავა მის ქარხანაში მმართველად (მოურავად). გრიგოლი დასთანხმდა. თვით სარაჯიშვილი იმ დროს საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ამიტომ სპირტის ქარხანას დამოუკიდებლად მართავდა გრიგოლი და შემოსავლის გარკვეულ პროცენტსაც თვითონ იღებდა. ამ პერიოდში გრიგოლს შემოაკვდა 7 ქისტი, ადგილობრივი მთავრობაც ავიწროვებდა, როგორც რევოლუციონერს. იგი იძულებული გახდა ემიგრაციაში წარსულიყო ჩინეთში (მანჯურიაში).

ვლადიკავკაზში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა, ცოლად მოხევე ქალი, გვარად ღუდუშაური შეირთო, მაგრამ მოსისხლე ქისტები მის დევნას თავს არ ანებებდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. მამამ გრიგოლს ურჩია საქართველოში დასახლებულიყო. ისიც დასახლდა თუქურმიშაში (ახლანდელი დედოფლისწყარო). შირაქის ველზე იჯარით 200 დესეტინა მიწა იქირავა და სოფლის მეურნეობას მოეკიდა. მოგვიანებით, ის ქედის მამასახლისად აირჩიეს.

გრიგოლ ვარდაშევის მოგონებებიდან: **„1911 წელს შევადგინეთ შირაქში დასახლების მსურველთ 100-ზე მეტი კომლის სია. შეიტყვეს რა ჩვენი მთიდან ბარში მასიურად ჩასახლება, დუშეთის, თიანეთის და თელავის მაზრის უმიწაწყალო ხალხმაც შირაქს მიაშურა: ჩამოვიდნენ ფშავლები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები. დასახლდნენ ზემო ქედის ყაშების პირიდან ქვემო ქედის კორუმებამდე. ვცხოვრობდით მიწურ გომურებში მთიდან ჩამოყვანილ თითო-ოროლა ცხვარძროხასთან ერთად. ჩვენი დასახლება შირაქში არ მოეწონათ მდიდარ თუშ მეცხვარეებს, რომლებიც თავიანთ თავს შირაქის მეპატრონეებად თვლიდნენ. მაგალითად,** მიტო ბუქურაულს - 5000 ცხვარი ჰყავდა, ლეო უშარაულს - 3000. **ათვალისწუნებით გვიყურებდნენ აგრეთვე ფშავლები, რომელთაც თუშებთან შედარებით უფრო რიცხვმრავალი ფარები ჰყავდათ.** დავით გუგუთაშვილი - 15000 ცხვრის პატრონი იყო, პავლე ჩარბოდაშვილი - 14 000-ის. **მართლაც, რა საძოვრები უნდა ჰყოფნოდათ ამ აურაცხელი ცხვრის პატრონებს. ამიტომაც გამწარდნენ ასე ძალიან. დაიწყეს ტფილისის გუბერნიისა და სიღნაღის მაზრის მოხელეებთან ქრთამების მიტანა და საჩივრების წერა, რათა ჩასახლებულები შირაქიდან აეყარათ და ისევ მთას დაებრუნებინათ.**

ერთხელ თუქურმიშიდან ტვერსკოი პოლკის ჯარი მოგვადგა ჰაერში თოფების სროლით. ჩვენ შეგვეშინდა, ცოლ-შვილი ალაზნის პირად მდებარე ყაშებში ტყეს შევაფარეთ. რამდენიმე კაცი კი ადგილზე დავრჩით, ჩემმა სოფლელებმა **თომა მარსაგიშვილმა** და **აკურა ყამარაულმა** გომებში გადამალული თოფები გამოიტანეს და ისროლეს. გავაფრთხილე და თოფები კვლავ გადამალეს. ჩემთან მოვიდა იმ ჯარის უფროსი ოფიცერი გუცუნაევი, რომელიც ჩემი ნათესავი იყო და ბავშვობისას ერთად ვიზრდებოდით. **გვკითხა, თოფები ვინ გვესროლაო, ვუთხარი, ჩვენი ხალხი ყველა შეიარაღებულია. თქვენი ჯარი მათ რკალს შუაა, როგორც კი თქვენი მხრიდან თოფი გავარდება და ჩვენთაგანი ვინმე დაიჭრება, თქვენ აქედან ცოცხალი ვერც ერთი ვერ წახვალთ. ამ ხალხს შირაქიდან ძალით ვერ აჰყრით, ნებით არ წავლენ, ამიტომ გარდაუვალია სისხლისღვრა-მეთქი.**

გუცუნევმა მითხრა: - გრიგოლ, უნდა იცოდე, რომ ნაბრძანები გვაქვს თქვენი აყრა და ისევ მთაში დაბრუნება.

- როგორც ვხედავთ, უსისხლოდ ეს არ მოხერხდება, გავაგზავნოთ თბილისში ტელეგრამა,- ვუთხარი მე და ვუკარნახე ტელეგრამის ტექსტი:

**„საქმე სისხლისღვრამდე მიდის, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, განვაგრძოთ თუ არა ხალხის აყრა“.** ერთმა ქედელმა ახალგაზრდამ დასტაცა ხელი, მე წავილებო და ნიავ-ქარივით გაიქცა. გუცუნაევმა მე და თავისი ერთი ჯარისკაცი დაგვადევნა იმ ქედელს, ისეთი სისწრაფით მიდიოდა ის კაცი, საბოდბისხეოს კალოებთან (ზემო ქედის თავში) ცხენებით ძლივს დავეწიეთ. გავაგზავნეთ ტელეგრამა და მივიღეთ ასეთი პასუხი: **„შეაჩერეთ ხალხის აყრა, ვიდრე ჩვენ ჩამოვალთ სისხლისღვრა არ მოხდეს“.**

1913 წელს თუშებმა თუქურმიშადან ჩამოიყვანეს „სტრაჟნიკები“ პრისტავ ბაქრაძის მეთაურობით. სახნავად გასულთ გუთნებიდან გამოუშვეს ხარები, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, სცემეს. ჩვენ დავნიშნეთ სახალხო ყრილობა, რომელსაც ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს მთელი მოსახლეობა ესწრებოდა. ყრილობაზე ავირჩიეთ წარმომადგენლად ვაჟა-ფშაველა და გავაგზავნეთ ჩვენი კაცი, ვისი მეშვეობითაც **ვაცნობეთ რაზიკაშვილს ჩვენი გაჭირვება და ვთხოვეთ, რომ მთავრობაში მფარველობა გაეწია. თბილისში ჩასულმა ვაჟამ გაარკვია, რომ შირაქში ძალად ჩასახლებულებს მთავრობა აძლევდა ნახევარ ნორმას, რაც 2-2,5 დესეტინას ნიშნავდა. ქალაქიდან ჩასახლებულებს კანონი 7 დესეტინა მიწას აკუთვნებდა, მთიდან ჩასახლებულებს - 5 დესეტინას, ხოლო რუსეთიდან ჩამოსახლებულებს -14 დესეტინა მიწას.** ვაჟა-ფშაველამ ჩარგალში დამიბარა და მითხრა: - გრიგოლ, ასე უნდა მოვიქცეთ, ვინც ძალად ჩასახლებულია, უნდა როგორმე მივაღწიოთ მათზე მთავრობის ნებართვას, მაშინ მათაც უკვე 7-7 დესეტინა მიეცემათ. ამის შემდეგ კვლავ მოვიწვიეთ ყრილობა და დავწერეთ სხვადასხვა ოქმი. ავიტანე სიღნაღში „მირავოი პასრედნიკ“ ნაცვლიშვილთან, რომელიც ჯერ მაგრად გამოვათვრე, მთისა და ბარის საქმეებზე ველაპარაკე, თან განგებ ვჩქარობდი, შირაქში ათასი საქმე მაქვს და მინდა მალე წავიდე-მეთქი. ისიც მენდო, ჩემს გადაწვდილ ქაღალდებზე ხელი მოაწერა და ბეჭედი დაარტყა. იმ ოქმის პირი გადავწერე და გავუგზავნე ვაჟას ჩარგალში. ისიც მალე ჩამოვიდა ქედში, რომ დარწმუნებულიყო პირვანდელ ოქმზე მართლა იყო თუ არა ნაცვლიშვილის ხელმოწერა და ბეჭედი. როდესაც ვუამბე ვაჟას, თუ როგორ შევაპარე ხელმოსაწერად ნაცვლიშვილს ოქმის ქაღალდები, ბევრი იცინა და თქვა: – ეხლანდელი პაგონებიანი ღვინო-არაყში იხრჩობენ თავს და ხელს რაზე აწერენ კი არ იციან. ფხიზელი რომ ყოფილიყო, არაფრის დიდებით არ მოგვიწერდა ხელს, ახლა მე ვიცი ცისკარიშვილის კამპანიის და მათ მე კისერს მოვტეხ და სადაც კანონი არ გაჭრის, ჩემს მკლავს და თავს გავაჭრევინებ.



ზემო ქედი



ვაჟა შირაქიდან თბილისში წავიდა, მისი წასვლიდან 10 დღის შემდეგ მდიდარმა თუშებმა ჩამოიყვანეს მიწათმომწყობი იგიტხანოვი, საძოვრების აგენტი სნეშკო ესლავსკი და გვითხრეს: „შირაქიდან უნდა აიყაროთო“. აგვიზომეს ნახნავ-ნათესი, სათიბი, დაგვადეს მძიმე ჯარიმა და მოითხოვეს მაშინვე მისი აკრეფა. მე სასტიკი წინააღმდეგი წავედი და ვუთხარი: „უკანონოდ გვექცევით, ეს ადგილები კანონის ძალით გვიკავია და მეტიც გვეკუთვნის. ამის შესახებ ჩვენ საჩივარი გვაქვს შეტანილი ლუკა რაზიკაშვილის ხელით, ჩამოვა აქ და მას ელაპარაკეთ.“ მათ მომთხოვეს ოქმი, მეც ვუჩვენე. მაშინ ესლავსკიმ თქვა: **„ამ ხალხს მიწას ვერ წავართმევთ, რადგან მთავრობის ნებართვით არიან გადმოსახლებულნიო.“**

ცოტა ხნის შემდეგ შირაქში ჩამოვიდა „მირავოი პასრედნიკი“, **ნაცვლიშვილი, ნახა რა თავისი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ოქმი, გაცოფდა. მთვრალი ვიქნებოდიო–წამოიყვირა და დამიწყო ჩხუბი. მეც განვრისხდი. კიდევ კარგი, რომ იარაღი არ მქონდა, თორემ შეიძლება სისხლიც დაღვრილიყო. ამ ჩხუბში თან ვაჟას სიტყვები მახსენდებოდა: „ზოგან კანონით და ზოგან ძალით, ჩვენ ჩვენით საქმე უნდა გავაკეთოთო“. ნაცვლიშვილი მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, მოლბა და მორჩილად მითხრა: „ნახა ასე მოხდა, რა გაეწყობა, თქვენი მფარველი ვიქნები და დაგეხმარებითო“. ამის შემდეგ მართლაც გვეხმარებოდა.**

1914 წელს ვაჟა ქედში ჩამოვიდა. მოვიწვიეთ ყრილობა. იმ ყრილობაზე სნეშკო ესლავსკი ჩემთან ახლოს იჯდა და მითხრა რუსულად ვაჟას შესახებ (ალბათ, ეგონა ვაჟამ რუსული არ იცოდა): „აბა რა ნასწავლი კაცია, რუსულად ეგ არ ლაპარაკობს და ქართულადაც არაფერს ამბობს, ასეთი საქმისთვის ნასწავლი კაცი უნდა აგერჩიათო“. გაიგონა ეს ვაჟამ, არც აცია, არც აცხელა, მარჯვენა ხელით ისე გასცხო, ესლავსკი ორ-სამ საჟენზე გაბარბაცდა, თან მიაძახა: „უსწავლელი ადვოკატის სილა კარგად დაიხსომე, შენს გარდა ჩემს მიერ ნაკრავი სხვასაც დღემდე არ დავიწყებიაო“ და ცისკარიშვილის გადახედა, რომელიც იქვე იდგა. მე ხალხი მყავდა წინასწარ გაფრთხილებული, თუ ჩხუბი ჩამოვარდებოდა, მზად ყოფილიყვნენ. ისე კი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, ცისკარიშვილს ხმა არ ამოუღია, იცოდა, თუ ხელს გაანძრევდა, ვაჟა მასაც დათვივით მიბეგვავდა.

**ასე დამთავრდა მაშინ ეს დავა. „რაკი დიდ შირაქში გუთანი ერთხელ შეიპარა, ის აუცილებლად მოიხვნებაო“. ვაჟას ამ სიტყვებით ხშირად მიგვიმართავს თუში მეცხვარეებისთვის და შეგვიხსენებია, რომ შირაქი მეცხვარეების გარდა მხვნელ-მთესველსაც ეკუთვნოდა.**

***

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სოფელ ზემო და ქვემო ქედში მცხოვრებ ხალხთა მოგონებები. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს. სოფელ ქვემო ქედში მცხოვრებ ლათო ჭოლიკიშვილის (86 წლის) მოგონებას სოფლებისთვის სახელების დარქმევის შესახებ:

**„ერთ-ერთ ყრილობაზე, რომელსაც ვაჟა-ფშაველაც ესწრებოდა (მე მაშინ 14 -15 წლის ბიჭი ვიყავი), განიხილეს დასახლებული სოფლებისთვის სახელი დაერქმიათ. მანამდე ჩამოსახლებულთა უბნების სახელები ერქვა. მაგალითად: შარახეველების უბანი, ჩარგლელების უბანი, ჭიჩოკლები და სხვა. მდიდარ მთიულს თანდილა ხარხელაურს სურდა სოფლისთვის მისი გვარი ხარხელაურთა ეწოდებინათ. ამ მიზნით მან ასი თუმანი ფული შესწირა სოფელს და აუშენა წყლის წისქვილი. გადაწყდა, რომ სოფლებს სახელები თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დარქმეოდა. რადგანაც მდინარე ალაზნის სანაპიროსთვის ეს ადგილი ქედს ქმნის, სოფელს ქვემო ქედი უწოდეს. მთიულების სოფელს ზემო ქედი, ხოლო ქვემო ქედის ზემოთ მდებარე სოფელს თავისი ისტორიული სახელწოდება არხილოსკალო დარჩა.**

არხილოსკალოს შესახებ ლეგენდა ყველამ იცის, თუმცა არსებობს მეორე ვარიანტიც. სახელწოდება წარმოდგება სიტყვიდან „არხალიყალა“, „არხალი“ ბურჯიანს ნიშნავს. ამ სახელწოდების სისწორეზე მიგვანიშნებს თვით ადგილი. არხილოსკალოში დღესაც კარგად გაირჩევა ძველისძველი ციხის ნაშთები, მის ტერიტორიას სამი მხრიდან ბუნებრივი დაცვა ჰქონდა, კლდოვანი ხეობებით, მეოთხე მხარეს კი განიერი თხრილი იცავდა. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნეში ქართულ პრესაში ეს სოფელი კიდევ იხსენიებოდა „არხალის კალოდ“.

**დალი ბაღაშვილი**
**დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი**

# მოსწავლეთა იმიტირებული სასამართლო

***წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლის მერვე კლასში ე.წ სასამართლო პროცესი გაიმართა.***

„სასამართლო პროცესის იმიტირება მას შემდეგ გადავწყვიტეთ, რაც გიორგი ლეონიძის მოთხრობა „მარიტა“ შევისწავლეთ. თითოეული მოსწავლის სურვილი იყო, სასამართლო პროცესზე განგვეხილა მარიტას საქმე, როგორც უდანაშაულო ადამიანისა, ხოლო გაგვესამართლებინა ბალბალუკა და ციციკორე. გაკვეთილის მიზანი იყო, რომ არ შეიძლება, ხელაღებით ადამიანს დავწამოთ ცილი, „გავასამართლოთ“ და მოვუსპოთ სიცოცხლის უფლება, სიცოცხლის, რომელიც უფლის საჩუქარია.

ნაწარმოების შესწავლისას, მოსწავლეებს დაეუფლათ უსამართლობის გრძნობა, რათა უდანაშაულო, ულამაზესი, გოგო, სასიკვდილოდ გაიმეტა „ბრბომ“ ყოველგვარი მტყუან-მართლის გარკვევის გარეშე. გადავწყვიტეთ, ჩვენი ინტერპრეტაციით, მარიტა დაგვეტოვებინა ცოცხალი, გაგვესამართლებინა ჭორიკანა, „ენაკეცია“ ბალბალუკა და სოფლის თავკაცი ციციკორე.

სასამართლოზე არჩეული გვყავდა: საქმის მოსამართლე, ადვოკატები, პროკურორი, ნაფიცი მსაჯულები და მოწმეები, რომელთა ფუნქციებშიც სასამართლოს გამართვამდე დეტალურად გაერკვნენ მოსწავლეები. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული მათგანი ძალიან დიდი ინტერესით იყო ჩართული აღნიშნული გაკვეთილის მომზადებაში. მათ წინასწარ მოისმინეს იმიტირებული სასამართლო პროცესები, რათა მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო რეალურთან.

ბავშვებს უნდოდათ სამართლიანობას ეზეიმა. სწორედ ამიტომ, როლები ისე ჰქონდათ გადანაწილებული და კითხვები შერჩეული, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს, ამომწურავად ესაუბრა. ძალიან განსხვავებული გაკვეთილი გამოვიდა, ინფორმაციული და საინტერესო! მადლობა მინდა ვუთხრა მოსწავლეებს აქტიურობისთვის!,“ – აღნიშნავს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მარი ჩალახეშაშვილი.

თავდაპირველად მოისმინეს მარიტას პოზიცია, თუ რა უნდოდა გედიას მასთან და რატომ გადაკოცნა. შემდეგ დაინტერესდნენ ბალბალუკას გადაწყვეტილებით, რატომ მიიჩნია, რომ გედიასა და მარიტას შეხვედრა „საცოლქმრო შეყრა“ იყო, რაზეც ძალიან ბანალური პასუხი ჰქონდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ფოტომტკიცებულება ჰქონდათ მოტანილი გედიასა და მარიტას სიახლოვისა, მაინც არ იყო დასაბუთებული ღალატის შესახებ მოსაზრება ბალბალუკასა და მისი ადვოკატის მხრიდან.

ფოტოსთან დაკავშირებით მარიტას დაცვის მხარეს ჰქონდა არაერთი მყარი არგუმენტი, რომ გედია, მარიტასთან მხოლოდ სამძიმრის სათქმელად მივიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მარიტას თუ შეთეს ღალატი ექნებოდა განზრახული, კარს დახურავდა და არავის მისცემდა თვალთვალის შესაძლებლობას. მარიტას დაცვის მხარემ, ერთ-ერთ ვერსიად წარმოადგინა ის, რომ ის იყო უმშვენიერესი ქალი და სოფლის მოსახლეობას, შურდა მისი სილამაზისა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისი დასჯა. ბალბალუკამ საკუთარი საქციელის გამართლება იმით სცადა, რომ თუ მარიტა არ დაისჯებოდა ქმრის ღალატისთვის, ბევრი მიბაძავდა მას და ერი გადაგვარდებოდა. სასამართლო პროცესზე ასევე წამოიჭრა ციციკორეს, როგორც სოფლის თავკაცის საკითხი, მან თავი დამნაშავედ სცნო.

***გიორგი ლიქოკელი - ერთ-ერთი მოწმე;**
***ანი ყაზარაშვილი - პროკურორი;**
***ნინო ნატროშვილი - მოსამართლე;**
***მიხეილ ალადაშვილი - ერთ-ერთი მოწმე;**
***ნიკოლოზ წყარუაშვილი - ნაფიცი მსაჯული;**
***თომა ლომსაძე - მანდატური;**
***სალომე პოპიაშვილი - ნაფიცი მსაჯული;**
***გიორგი ალუღიშვილი - ციციკორეს ადვოკატი;**



***გიორგი კოქლამაზაშვილი - ნაფიცი მსაჯული;**
***თეკლა ცაკაშვილი - პროკურორი;**
***ქეთევან ყაჭაშვილი - ბალბალუკას ადვოკატი;**
***მარიამ კვესაძე - მარიტა;**
***გიორგი შეითნიშვილი - ციციკორე;**
***ილია ტოკლიკიშვილი - მოწმე;**
***ელენე სესიტაშვილი - მარიტას ადვოკატი;**
***ოთო ზაქაიძე - ნაფიცი მსაჯული;**
***საბა პირზადოვი - გედია;**

დამნაშავედ მიიჩნიეს ბალბალუკაც, ხოლო მარიტა გათავისუფლდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და მან შეძლო, გაეგრძელებინა ცხოვრება, როგორც უდანაშაულო ადამიანს.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# პირველი ადგილი პროფესიონალურ კრივში

დედოფლისწყაროელმა **ვალერი რამაზანაშვილმა** პროფესიონლურ კრივში სარეიტინგო ბრძოლა პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო და მძიმეწონოსანი მეტოქე დაამარცხა.

**თამაზ ყარაგვეზაშვილი:** „პროფესიონალური კრივი ერთ-ერთი რთული სახეობაა. სასიხარულოა, რომ დედოფლისწყაროელი კიკბოქსინგელები აქაც წარმატებით ასპარეზობენ და რაიონის სახელს წარმოაჩენენ. ამჯერადაც წლის პირველ პროფესიონალურ სარეიტინგო შოუზე კარგად გამოვიდა ვალერი რამაზანაშვილი. ის უფროს ასაკში ასპარეზობს. ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პრესტიჟული სპორტსმენია. მრავალგზის ჩემპიონია კიკბოქსინგში, მოგებული აქვს საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები, გამარჯვებულია კრივის საერთაშორისო ტურნირზეც. ვინაიდან ასაკით 18 წელს გადასცდა, უფლება გვქონდა ბედი გვეცადა პროფესიული კრივის სარეიტინგო ბრძოლებში. ისე მოხდა, რომ ერთი წონითი კატეგორიით ზემოთ მოგვიწია ორთაბრძოლების ჩატარება. თუმცა ვალერიმ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა და მძიმეწონოსანი მეტოქე დავით ისმაილოვი პირველივე რაუნდში რამდენჯერმე გაუშვა ნოკდაუნში. ამიტომ ბრძოლა შეწყდა და გამარჯვება „ტექნიკური ნოკაუტით“ ვალერის მიენიჭა. იმედი მაქვს, მისი შემდეგი ბრძოლებიც წარმატებული იქნება და მალე საზღვარგარეთ შეჯიბრებების საგზურსაც მოვიპოვებთ. მასზე ჩვენი გუნდი დიდ იმედს ამყარებს.

ასევე პირველად იასპარეზა გუნდი „ჩემპიონის“ სპორტსმენმა მიხეილ ბაღდასარიანმა, ის ამჟამად სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის, რის გამოც საწვრთნელ მზადებაში აქტიურ ჩართულობას ვერ ახერხებს. ის ასევე ერთ-ერთი პერსპექტიული სპორტსმენია. მრავალჯერაა გამარჯვებული რესპუბლიკურ ტურნირებზე. საქართველოს ჩემპიონია ახალგაზრდებში. ამ შეჯიბრზეც მსაჯების ქება და ყურადღება დაიმსახურა, ლამაზი ტექნიკის და ბრძოლის მანერის გამო. სამწუხაროდ, რინგის კუთხეში ერთმანეთს თავებით შეეჯახნენ, მიღებული ტრავმის გამო ექიმმა ბრძოლის შეცერების რეკომენდაცია მისცა და გამარჯვების მოპოვება ვერ შევძელით. კარგია, რომ პროფესიონალური რეიტინგი გავხსენით, დანარჩენი გამოსწორდება და წარმატებებიც იქნება,“ - აღნიშნავს მწვრთნელი.

ვალერი რამაზანაშვილი: „მეტოქე იყო საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში და რამდენიმე კილოგრამით მძიმე. თუმცა ეს მე არ მაღელვებდა, რადგან მაქვს მიზანი, რისთვისაც ღირდა ეს გადამელახა. რინგზე ასვლის პირველი წამები ძალიან მიჭირდა, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი გამოცდა ჩემთვის პირველი იყო. მზად ვიყავი წინააღმდეგობისთვის. ბევრს ვვარჯიშობდი, ვემზადებოდი და შედეგმა არ დააყოვნა. რინგზე როდესაც დავდექი მხოლოდ ჩემს მიზანზე ვფიქრობდი. დაბნეულობამ მოიმატა, ვღელავდი, მაგრამ ლევან წიკლაურმა, ნიკოლოზ თარალაშვილმა და მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა ეს ყველაფერი გადამალახინეს. იმედი მაქვს, ერთ დღეს ჩემს გუნდს და რაიონს მსოფლიო ქამარს ჩამოვუტან და კიდევ ბევრჯერ ვასახელებ ჩემს კუთხეს და საქართველოს. ამ ბრძოლაზე დამოკიდებული იყო შემდგომ ტურნირებზე მონაწილეობის უფლება, რისი მოპოვებაც შევძელი და ბედნიერი ვარ. ახლა კი თავს არ დავზოგავ, რომ მომავალშიც ბევრი შედეგი დავდო“.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის წევრი

**ციცო ფიროსმანაშვილი**

ასოციაცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მის ერთადერთ შვილს - კახა კონჭოშვილს. დაიკრძალა 6 იანვარს სოფელ გამარჯვებაში.

**მონატრება**

## ზაზა პოპიაშვილი



შეუსრულებელ 44 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო. მაგიდაზე შენი სურათების ციმციმს და საკმევლის სუნს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები: „გილოცავ დაბადების 44 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში შვილო. მოვიდა ჩემთვის ყოფილი სანატრელი, სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი. შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს ვერც 17 წელმა უშველა, შვილო. ისევ ისე მტკივა, ისევ მენატრები და მიყვარხარ ჩემო სიცოცხლევ. ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული. უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო, 27 წლისად დარჩენილო შვილო.

ყველაფერი უფლის ნებაა, ჩვენ ვერაფერს შევცვლით. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეებისა და წლების გატანას. შენს სახეს და სითბოს ვეძებ შენს შვილში, რომელიც ძალიან გგავს. მახსენდება ჩვენი ერთად ყოფნის 27 წელი. ის უმნიშვნელო დეტალებიც კი, რომელსაც ადრე მნიშვნელობას არ ვანიჭებდი.

დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა. უშენობა ჩემი გულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა, შვილო. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს? როგორ მინდა გულში კიდევ ჩაგიკრა, შენი სითბო ვიგრძნო, დაგიკოცნო ლამაზი თვალები. მიყვარხარ ტკივილამდე, ჩემო უდროოდ წასულო შვილო. სიცოცხლის ბედი არ გქონია, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა ოჯახი, მეუღლე და ქალიშვილი. ლიკა უკვე 22 წლის გოგოა, იქიდან ილოცე მისთვის.

ჩემო ზაზა, შენს სურათთან და საფლავთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ მოგკლებია, მაგრამ სიცოცხლე და სიყვარული ჩაგვიქრა. ყველა ოცნება ქარს გაჰყვა. მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს, ამ საშინელ ტკივილს რწმნით და ლოცვით მიმსუბუქებს. ჩემი მწარედ დაღვრილი ცრემლი ცვარად მოგეფინოს ცათა სასუფეველში. ღმერთო, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ზაზას, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი.

**ხსოვნა**

## თეიმურაზ (ზამთარა) ზამთრეული



გილოცავთ არ შესრულებულ დაბადების დღეს. 8 თებერვალს 68 წლის შესრულდებოდი, მაგრამ უკურნებულმა სენმა დაგრია ხელი და არაფერი აღარ დაგცალდა. ორ თვეში მოგიღო ბოლო. არ გჯეროდა შენი ავადმყოფობის და ოპერაციის მერე ჩვეული შემართებით მაინც გააგრძელე მუშაობა და უვლიდი ქვეყანას. არაფერი არ მჭირსო, მაგრამ, თურმე ჩასაფრებული დაგდევდა ვერაგი სენი. უდროოდ გამოგვეცალე ხელიდან. დამტოვე მარტო, თენდება თუ ღამდება შენს გზას გამოვყურებ, იმ იმედით, რომ რეისში ხარ და დამიბრუნდები, მაგრამ ეს ხომ ყველაფერი ზღაპარია. წახვედი შენს შვილიშვილთან, სულ გიორგის გზას გაჰყურებდი, ავადმყოფობის დროსაც ვერავის ვეღარ გვცნობდი და მხოლოდ გიორგის ახსენებდი. ჯერ ჩააქრო ჩემში სიცოცხლის სანთელი, ის უბედურება არ მაკმარა ღმერთმა და ეხლა შენც გამომეცალე ხელიდან. ძალიან ძნელია ჩემთვის, ორი ვაჟკაცის სურათების ყურება, ორი ძვირფასი ადამიანის დაკარგვა და მათზე წარსულში ლაპარაკი. უზომოდ ვიტანჯები და უზომოდ მენატრებით. როდის დამიდგება ის ნანატრი დღე მეც თქვენთან ვიყო და ჩაგეხუტოთ ორივეს. გილოცავ, ისევ და ისევ დაბადების დღეს, ჩემო თემო, ჩემო თბილო, ტკბილო და ამაგიანო მეუღლევ, მამავ და პაპავ. იძინე მშვიდად. 8 თებერვალს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, მოგიტანთ უამრავ ყვავილებს, რაც შენ ძალიან გიყვარდა, მოგირწყავთ ცრემლით. მოვლენ შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, დაგინთებენ სანთლებს და უფალს შევთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული. შენ ისეთი ძვირფასი, კეთილი და სპეტაკი ადამიანი იყავი, რომ ვიცი, სამოთხეში დაიმკვიდრე სასუფეველი და მშვიდად იძინე ჩემო „ზიმა, ზამთარა“.

**შენი უბედური მეუღლე,**
ნაირა თემურაზოვი, **შვილები** ნონა ალადაშვილი, თეიმურაზ ზამთრეული ოჯახებით, **სიძე** დათო გონაშვილი, **რძალი** ნათია ჩოხელი.

# ოცნება, რომელიც რეალობად იქცა



სხვადასხვა ცნობადი სახის ფანი შეიძლება ნებისმიერი იყოს, მაგრამ ცოტა თუ ახერხებს მის სათაყვანებელ კუმირს პირადად იცნობდეს, ტორტით ხელში სადარბაზოსთან დაბადების დღეს ულოცავდეს, ყველა მის კონცერტს ესწრებოდეს და ყველაფერში აქტიურად ჩართვას ახერხებდეს. თუ ვარსკვლავმა დაგიმახსოვრა, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც გამორჩეული ფანი ხარ

„შირაქი" სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონას შესახებ გიამბობთ, რომლის ნაამბობიც საკმაოდ საინტერესოა.

**მარიამ გიგოლაშვილი:** „7 წლის ვიყავი, როდესაც სოფელში ლელა წურწუმიას პირველად მოვუსმინე და აი მაშინ მოვიწამლე მისი შემოქმედებით. მაშინ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ვინმეს ფანობა, მაგრამ აგერ უკვე 22 წელია მისი ფანი ვარ. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც არ იყო დენი, ინტერნეტი და ნორმალური ტელევიზორიც კი სანატრელი იყო. გვქონდა ე.წ. „კორფუჯის" შავ-თეთრი ტელევიზორი, აკუმულატორზე მუშაობდა, რადგან დენი ხშირად არ იყო, აკუმულატორზე ვრთავდი და ასე ვუსმენდი ლელას გამოსვლებს. ჩემს ოჯახში ლელა ძალიან უყვართ, განსაკუთრებით ბიძაჩემს, სწორედ მან შემაყვარა ასე ძალიან. ხშირად იყო პერიოდი, როცა არ მქონდა ლენტიანი კასეტის საყიდელი ფული. ამიტომ, მისი ბევრი სატელევიზიო კონცერტი, გადაცემები და ლელას პატარა სიუჟეტებიც კი გვქონდა ტელევიზორიდან ვიდეოფირზე გადმოწერილი და ასე ვუსმენდი... განსაკუთრებით მიყვარს „ზღვის სიმღერა", დღეში ასჯერ შემეძლო მესმინა, არ მბეზრდება ერთი და იგივე. ისე, კი, დღესაც ასე ვარ, ჩემი დილა იწყება და ღამდება ლელას სიმღერებით. მანქანაშიც გვქონდა კასეტა და სადმე თუ მივდიოდი ლელას სიმღერა აუცილებლად ბევრჯერ უნდა მოგვესმინა და სხვა მომღერლები თითოჯერ. მე ასე მინდოდა და სხვებიც მემორჩილებოდნენ. მოკლედ, სულ ლელა იყო ჩემს სახლში ჩართული, თანაც ბოლო ხმაზე. დედაჩემს ბევრჯერ უთქვამს, „გადართე საინფორმაციოზე, ერთი რა ხდება ქვეყანაში, სხვა რამესაც ვუსმინოთო". თუ გადავურთავდი ახალ ამბებზე, მაშინ მეორე სართულზე ავდიოდი, იქ ვრთავდი სიმღერებს იმდენად მაღალ ხმაზე, რომ დაბლა არ ისმოდა რა გადაცემა გადიოდა. შემდეგ უკვე დისკები რომ შემოვიდა, მამამ სიურპრიზი მომიწყო და დივიდი მიყიდა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ახლა იქ ვუსმენდი, არასდროს მბეზრდებოდა. სანათესაო, მეზობლები, სკოლა, სადაც არ უნდა მივსულიყავი, ყველგან ლელაზე ვლაპარაკობდი, ჩემს გარშემო ყველას შევაყვარე ეს მომღერალი. პატარაობაში სკოლაში გოგონები ხშირად მამღერბდნენ, ლელას ხმას როგორ კარგად ამსგავსებო, მერე ტაშს მიკრავდნენ და მიხარიდა, ეს ემოცია მაბედნიერებდა. მასწავლებლებს და ბავშვებს ტვინი გაბურღული ჰქონდათ, იმდენად ხშირად ხდებოდა ასე. სხვათაშორის, ჩემს კლასელებს მაინც და მაინც არ უყვარდათ ლელა, მაგრამ ქეიფებზე, ან ისე პატარა შეკრებებზე, ჩემი ხათრით, „ზღვის სიმღერაზე" ვცეკვავდით და ვმხიარულობდით.



**– საბოლოოდ როგორ მოახერხე მომღერლის გაცნობა?**

– ბავშობაში ყველას თავისი ოცნება აქვს, ჩემი ოცნება კი ყოველთვის ლელას გაცნობა იყო. როცა მხოლოდ ტელევიზიით ხედავ ვარსკვლავს და გიჟდები მასზე, აუცილებლად გინდა გაიცნო, ჩაეხუტო. პატარაობისას ეს ძალიან აუხდენელ ოცნებად მეჩვენებოდა. მახსოვს, ერთხელ სკოლაში ვთქვი, მე მას აუცილებლად გავიცნობ-მეთქი და დამაყარეს სიცილი... ბევრჯერ იყო პერიოდი, როცა მის კონცერტებზე ვერ დავდიოდი ფინანსების გამო. იყო შორეული და აუხდენელი ოცნება, თუმცა მე ავიხდინე ეს ოცნება, გავიცანი ახლოდან, ახლა უკვე ისიც მიცნობს და იცის როგორი „არანორმალური" ფანი ჰყავს. დიდი ხანია დამიმახსოვრა და ამით ბედნიერი ვარ. იმდენი მოვახერხე, რომ მე მის გადაცემა „სხვა შუაღამე"–შიც კი ვიყავი სტუმრად მიწვეული. რუსთავი 2-ზე ამ გადაცემის წამყვანი თავად ლელა იყო და იგივე თემაზე ვისაუბრე, რასაც თქვენ გიყვებით. თუმცა, იქ დროის სიმცირის გამო ასე ვრცლად ვერ შევძელი.

**– ცნობილი სახეები განსხვავდებიან თუ არა ეკრანზე და რეალურ ცხოვრებაში?**

– ნამდვილად განსხვავდებიან... ეთერს მიღმა ლელა საერთოდ სხვა ადამიანია, უფრო თბილი და ტკბილი. არ ვიცი რატომ, მაგრამ, მხოლოდ ლელას ხმაზე ვმშვიდდები. რა თქმა უნდა, ბევრი კარგი მომღერალი გვყავს, მაგრამ ჩემთვის ის ერთადერთი და შეუცვლელია. პირველად ძალიან მიჭირდა მის კონცერტზე წასვლა, რადგან არ ვიცოდი რას ვიზამდი. არ მქონდა ჩემი თავის იმედი, შევძლებდი თუ არა ემოციების კონტროლს, სცენაზე არ ავუხტე-მეთქი. მოკლედ წავედი, კონცერტზე ჩემს თავს ვამშვიდებდი, მაგრამ ბოლოს უკვე ლელა დაბლა ხალხში ჩამოვიდა და ველარ მოვითმინე. გავეკიდე, ფოტოც გადავიღე, ეს კონცერტის ჩანაწერშიც ჩანს, ამის გამო მერე დიდხანს მცხვენოდა და ვნანობდი, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ კარგად მოვიქეცი. სხვა ქვეყნებში ფანების რეაქციები რომ მინახავს, ეს ულირსი ქცევა სულაც არ იყო. რადგან ერთ კონცერტზე წავედი, მას შემდეგ თითქმის ყველა კონცერტზე დავდივარ.

**– როგორც ვიცი, მისი ფანკლუბის შექმნის ინიციატორიც ხარ და თანამოაზრეებიც ბევრი მოაგროვე...**

– სხვა ფანებიც გავიცანი, ერთად შევკრიბე, სოც-ქსელში გავაკეთე ჩათი, „წურწუს ფანები"... ლელას სიყვარულმა გაგვაერთიანა და ახლა საკმაოდ კარგი მეგობრები ვართ. სულ კონტაქტზე ვართ და ნებისმიერ დროს შეგვიძლია ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ. ასაკობრივი სხვაობა გვაქვს, მაგრამ ლელა ყველას გვაერთიანებს, ამიტომაც ახლო მეგობრები ვართ. ლელამ არც კი იცის, მისი წყალობით ასეთი კარგი მეგობრები რომ შევიძინეთ. რაღაცნაირად, თითქოს ერთნაირები ვართ, ჯგუფში ახალ დამატებულ ფანს ტესტს ვუტარებთ ხოლმე, ვის რომელი ცხოველი და სიმღერა უყვარს. საოცარი დამთხვევაა, რომ ყველას ერთი აზრი გვაქვს. და მიხარია, რომ მე ჩემნაირი ხალხი ვიპოვე, ლელას დამსახურებით. ისე, ფანკლუბში ყველაფრის თავი მე ვარ ხოლმე. მოვინდომე, რომ ლელასთვის დაბადების დღე მიგვეღლოცა, ავიყოლიე ყველა და უკვე ორჯერ გამორჩეულად მივულოცეთ დაბადების დღე, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მამულიჩას დახმარებით მოვახერხეთ, რომ ისე დაგვეგეგმა, სიურპრიზი გამოსულიყო. ახლაც არ მჯერა, ხშირად ვიხსენებ იმ 7 წლის პატარა მარიამს, რომელიც ლუმელის გვერდით იჯდა, ტელევიზორში შესცქეროდა ლელას და ოცნებობდა, მის კონცერტზე დასწრებას მაინც და ეს წარმოუდგენელი ეგონა. ახლა კი ხშირად ვარ მის გვერდით და ეს ნამდვილად ბავშვობის ახდენილი ოცნებაა".

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

### ლია კობაიძეს და ბაჩუკი გონაშვილს!

ჩვენო საყვარელო არბოშიკელებო, ქალბატონო ლია და ბატონო ბაჩუკი – დიდი სიყვარულით და სიხარულით გილოცავთ ორივე შვილის დაოჯახებას. უზომოდ გაგვახარა ნატალისა და ბიძინას დაქორწინებამ, უსაზღვრო ბედნიერებას ვუსურვებთ ორივე მათგანს თავის რჩეულთან ერთად. გამრავლდით და გაიხარეთ „გარაანებო". აკვანთა სიმრავლე გქონოდეთ.

პატივისცემით: დონარი, ქუქუნა და თამარ ბაგაშვილები

### ნელი და ომარ ალადაშვილებს!

გილოცავთ ტყუპი შვილიშვილების ნინოს და საბას შეძენას. რა სასიხარულოა ტყუპი ბავშვების მოვლენა ამ ქვეყანაზე. მარინას და მის მეუღლეს შალვა ნარინდოშვილს ვულოცავთ ამ დიდ სიხარულს. გაიზარდონ სამშობლოს სასახელო შვილები.

**მეზობლები:** ნაზი მოსაშვილი, ციური ოლიაშვილი და დოდო ნასრაშვილი

**განათავსეთ თქვენი განცხადება გაზეთ „შირაქში"**

ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად.

მილოცვა, სამძიმარი, გახსენება, მადლიერება, ყიდვა-გაყიდვა

**უსურათოდ – 5 ლარი; სურათით – 10 ლარი**

რამდენჯერმე განთავსების შემთხვევაში მიიღებთ დამატებით ფასდაკლებას.

## „ოზაანელები ოზაანელებისთვის"



სამოქალაქო აქტივიზმის კარგი მაგალითი დაფიქსირდა ოზაანში. კეთილი საქმისთვის რამდენიმე ხნის წინ ოზაანის სავაჭრო ობიექტებში შესაწირი ყუთები გამოჩნდა. „ოზაანელები ოზაანელებისთვის" – ასე ჰქვია კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი აქტიური მოქალაქეები თანასოფლელების დასახმარებლად სხვადასხვა საქველმოქმედო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას გეგმავენ. იდეის ავტორები სოციალურ ქსელებსა და სოფლის თავშეყრის ადგილებში უკვე აქტიურობენ და გარკვეული თანხის მობილიზებაც შეძლეს.



როგორც გაზეთ „შირაქს" ოზაანელები უყვებიან, მიუხედავად იმისა, რომ საქველმოქმედო საქმიანობის საინფორმაციო კამპანია სულ ახალი დაწყებულია, მათ უკვე შეძლეს სოფელში ერთ მოზარდს დახმარებოდნენ, რომელსაც ძვირადღირებული სამედიცინო კვლევები ესაჭიროება.

„რამოდენიმე დღის წინ გაიხსნა ყუთები და ერთერთ ბავშვს ჩავურიცხეთ შემოსული თანხა. ეს ყუთი უკვე დიდი ხანია განთავსებულია მაღაზიებში. ამ ეპატზე დავეხმარეთ მოზარდს, რომელსაც გულზე აქვს პრობლემები და ესაჭიროება ოპერაცია. კამპანია საქველმოქმედო ხასიათს ატარებს და მომავალშიც გაგრძელდება მეტი კეთილი საქმისთვის!" – აღნიშნავს ადგილობრივი ლევან მეხრიშვილი.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 06.02 დღე | ორშაბათი 06.02 ღამე | სამშაბათი 07.02 დღე | სამშაბათი 07.02 ღამე | ოთხშაბათი 08.02 დღე | ოთხშაბათი 08.02 ღამე | ხუთშაბათი 09.02 დღე | ხუთშაბათი 09.02 ღამე | პარასკევი 10.02 დღე | პარასკევი 10.02 ღამე | შაბათი 11.02 დღე | შაბათი 11.02 ღამე | კვირა 12.02 დღე | კვირა 12.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3° | -2 ° | 5° | -4° | 3 ° | -6 ° | 0° | -6° | -1° | -7 ° | 0° | -8 ° | 0 ° | -7 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი